2. სადოქტორო პროგრამის სახეები

2.1. სადოქტორო პროგრამა შეიძლება იყოს დარგობლივი, დარგთაშორისი ან თემატური.
2.2. თემატური სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია ცალკეული მეცნიერული პრობლემის კვლევაზე და იგი ხორციელდება ეროვნული ან საეღთაშორისო გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტის ბაზაზე.
2.3 დაფინანსებული კვლევების ბაზაზე განხორციელებული სადოქტორო პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს თსუ აკადემიური საბჭოს N172 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს სადოქტორო პროგრამების წარმოდგენის ინსტრუქციის ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ.
2.4. სადოქტორო პროგრამა შეიძლება განხორციელდეს საქართველოს სამეცნიერო–კვლევით ცენტრებთან და ინსტიტუტებთან, უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სამეცნიერო–კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობით.
2.5 ერთობლივი საერთაშორისო პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს თსუ აკადემიური საბჭოს N 172 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
2.6. სადოქტორო პროგრამები შეიძლება გაერთიანდეს სადოქტორო სკოლებში, ინტერდისციპლინურ ცენტრებში და ა. შ.
2.7. თსუ ყოფილი ასპირანტებისა და მაძიებლებისათვის და იმ კვლევითი ინსტიტუტების ასპირანტებისა და მაძიებლებისთვის, რომლებთანაც თსუ-ს აქვს გაფორმებული მემორანდუმი, მიღება ცხადდება ე. წ. ინდივიდუალურ სადოქტორო პროგრამებზე, რომელიც არ შეიცავს სასწავლო კომპონენტს და განკუთვნილია იმ ყოფილი ასპირანტებისა და მაძიებლებისთვის, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ ე. წ. საკანდიდატო მინიმუმის საგნები 1996–2006 წლებში.